და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებაში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც

დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნუ- ბი	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარე- ბი	ოფისის აღჭურვი- ლობა და სხვა	ავეჯი- სხვა ინვენტ- არი/სხვ ადასხვ ა	სატრანს- პორტო საშუალო ეგები	სულ
31.12.2019	188	2,568	2,052	7,168	121	90	42	12,229
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	65	282	1,015	73	310	-	1,745
31.12.2020	188	2,633	2,334	8,183	194	400	42	13,974
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	64	670	613	85	140	-	1,572
დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში	-	-	-	(145)	-	(70)	-	(215)
გაყიდვები/ჩამოწრა	-	-	-	(30)	-	(24)	-	(54)
31.12.2021	188	2,697	3,004	8,621	279	446	42	15,277

ცვეთა და გაუფასურება

31.12.2019	-	(399)	-	(1,009)	(78)	(52)	(24)	(1,562)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(44)	-	(335)	(5)	(11)	(1)	(396)
31.12.2020	-	(443)	-	(1,344)	(83)	(63)	(25)	(1,958)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(44)	-	(354)	(14)	(16)	(2)	(430)
დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში	-	-	-	145	-	70	-	215
31.12.2021	-	(487)	-	(1,553)	(97)	(9)	(27)	(2,173)

საბალანსო ღირებულება

31.12.2020	188	2,190	2,334	6,839	111	337	17	12,016
31.12.2021	188	2,210	3,004	7,068	182	437	16	13,104

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით (დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით), ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 5,402 ათას ლარს (2020 წელს: 4,712 ათასი ლარი). სესხებზე დაწვრილებითი ინფორმაცია განხილულია შენიშვნა N 10-ში.

კომპანია საკუთარი და მოზიდული სახსრებით აშენებს ქარხანას.

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული და მასალა	1,360	761
სპირტები	5,977	9,377
ღვინო	3,414	3,620
სხვა მარაგი	103	102
მზა პროდუქცია	182	61
სულ მარაგები:	11,036	13,921

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	17,727	20,849
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(105)	(427)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	819	66
სასესხო მოთხოვნები	428	402
მისაღები პროცენტები	360	360
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	19,229	21,250

7. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	40	3
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში *	-	7,952
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	33	12
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15	16
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:	88	7,983

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,033	14,126
გადასახდელი დაქირავებულთა გასამრჯელოები	80	66
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	6,113	14,192

10. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2021	31.12.2020
სს საქართველოს ბანკი	14.08.2023	13,00%	GEL	904	1,361
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	12,00%	GEL	3,905	4,527
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	498	643
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	5,528	6,661
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	683	832
სს საქართველოს ბანკი	11.09.2025	9,25%	USD	4,042	4,797
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	1,021	1,334
სს საქართველოს ბანკი	07.05.2021	9,25%	USD	-	1,049

სასესხო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია (გადასახდელი პროცენტების ჩათვლით), რომელიც აღებულია დაკავშირებული მხარისგან საბაზრო პროცენტით მოცემულია ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან შენიშვნაში N20.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით (დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით), ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 5,402 ათას ლარს (2020 წელს: 4,712 ათასი ლარი).

სესხი აღებულია ლარში და დოლარში. ყველა საბანკო სესხი (დოლარში აღებული) წარმოადგენს ცვალებად საპროცენტო განაკვეთიან სესხს. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ცვალებადი ბანკის მიერ განსაზღვრული დანამატის ჯამით. 2020 და 2021 წლის განმავლობაში საბანკო სესხებს დაერიცხა არანაკლებ 9,25 პროცენტის ოდენობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

11. ფინანსური იჯარის გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიას ხუთწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს დანადგარები, მათი სასარგებლო მომსახურების ვადები ოცი წელია.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან, თითოეული შემდეგი პერიოდის მიხედვით:

	2021	2020
1 წელზე ნაკლები	200	440
1-დან 5 წლის ჩათვლით	562	947
5 წელზე მეტი	-	-
სულ:	762	1,387

ვალდებულება კლასიფიცირებულია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებად.

ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია ფინანსური ხარჯის განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა N17).

12. ამონაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სულ ამონაგები:	29,831	27,272

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეულის ხარჯი	(22,795)	(15,799)
ცვეთა და ამორტიზაცია	(355)	(336)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	-	(91)
ლაბორატორიის ხარჯი	-	(59)
სულ:	(23,150)	(16,285)

14. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(2,191)	(1,990)
რეკლამის ხარჯი	(51)	(95)
მიწოდების საშუაშელო ხარჯები	-	(243)
სხვა მიწოდების ხარჯი	-	(43)
სულ:	(2,242)	(2,371)

15. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საბანკო ხარჯი	(225)	(295)
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	-	(161)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(1,118)	(596)
სამეურნეო ხარჯები	(130)	(61)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(204)	(217)
ცვეთა და ამორტიზაცია	(80)	(59)
დაზღვევა	(38)	(9)
იჯარა	(17)	(22)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(106)	-
სხვა	(175)	(70)
სულ :	(2,093)	(1,490)

16. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალში, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 559 ათას ლარს (2020 წელი: 537 ათას ლარს), 110 ათასი ლარი ეკუთვნის სამინისტროსგან მიღებულ თანადაფინანსების თანხას.

კომპანია „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან და სს საქართველოს ბანკთან ერთად სარგებლობს შეღავათიანი სესხით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოიაზრება ღვინის საწარმოს მშენებლობა და 2019-2023 წლებში სეზონზე ყურძნის მიღება.

17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური შემოსავალი		
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი *	5,627	5,958
იჯარა	356	-
როიალტი	33	-
სულ ფინანსური შემოსავალი:	6,016	5,958
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(2,051)	(2,357)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი *	(5,409)	(7,477)
ფინანსური იჯარა	(165)	(306)
სულ ფინანსური ხარჯი:	(7,625)	(10,140)

2021-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცვლილი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი/მოგება წარმოდგენილია ურთიერთგადაფარვით.

18. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის სესხის ხელშეკრულების პირობის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხის გადასახდელი ნაშთის ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გაყიდვები	135	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68	-
შრომის ანაზღაურება	16	35
მოკლევადიანი სესხები	942	1,819
გადასახდელი პროცენტები	318	349
სულ:	1,479	2,203
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირებთან დაკავშირებული ოპერაციები	2021	2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	183	-
მოკლევადიანი სესხები	3,246	-
საპროცენტო ხარჯი	122	126
სულ:	3,551	126
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:	2021	2020
შრომის ანაზღაურება	48	40
სულ:	48	40

21. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა ხელმძღვანელობის მხრიდან 2022 წლის 19 დეკემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიამ სასესხო ვალდებულებებიდან დაფარა 4,343 ათასი ლარის ვალდებულება.

შპს „ეი-ბი-ეფ“

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2021

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ეი-ბი-ეფ“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2008 წლის 21 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, ს. მარტყოფი, ვაზიანის დასახლება და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 553 394 .

2022 წლის 14 იანვარს (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B21132428) შპს ალკოჰოლური სასმელების ქარხანამ ცვლილება განახორციელა საფირმო დასახელებაში და გახდა შპს ეი-ბი-ეფ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

მესაკუთრე:	წილი:
გიორგი დავითაშვილი, 01031005887	8.33375%
ილია დავითაშვილი, 3040399A003PB7, MP3484398 /ბელარუსი/	8.33375%
იოანე დავითაშვილი, 01008052370	8.33375%
ლიზი დავითაშვილი, 01352005961	8.33375%
ოსებ იმნაძე, 01008001903	33.335%
გიორგი შანიძე, 01006002937	33.33%

„კომპანიის“ გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - მიხეილ ბრეგვაძე (პ/ნ 01008007110).

დასკვნის გამოცემამდე კომპანიის მესაკუთრეების სია ასე გამოიყურება:

მესაკუთრე:	წილი:
გიორგი დავითაშვილი, 01031005887	16.6675%
იოანე დავითაშვილი, 01008052370	8.33375%
ლიზი დავითაშვილი, 01352005961	8.33375%
ოსებ იმნაძე, 01008001903	33.335%
გიორგი შანიძე, 01006002937	33.33%

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა დისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2. კომპანიის სამომავლო გეგმები

2021 წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, განვითარების კონკრეტული გეგმები კომპანიას არ აქვს.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

„კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

5. კომპანიის სესხები

	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2021	31.12.2020
სს საქართველოს ბანკი	14.08.2023	13,00%	GEL	904	1,361
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	12,00%	GEL	3,905	4,527
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	498	643
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	5,528	6,661
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	683	832
სს საქართველოს ბანკი	11.09.2025	9,25%	USD	4,042	4,797
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	1,021	1,334
სს საქართველოს ბანკი	07.05.2021	9,25%	USD	-	1,049

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით (დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით), ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 5,402 ათას ლარს (2020 წელს: 4,712 ათასი ლარი).

6. კომპანია არ ფლობს **სხვა კომპანიების აქციებს** და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
7. სხვა დამატებითი ინფორმაცია **სუბიექტის მიზნებისა** და პოლიტიკის შესახებ გთხოვთ იხილოთ შპს „ეი-ბი-ეფ“ 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი: მიხეილ ბრეგვაძე

თარიღი: 19-12-2022წ.

შპს „ეი-ბი-ეფ“

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2021

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ეი-ბი-ეფ“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2008 წლის 21 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, ს. მარტყოფი, ვაზიანის დასახლება და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 553 394 .

2022 წლის 14 იანვარს (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B21132428) შპს ალკოჰოლური სასმელების ქარხანამ ცვლილება განახორციელა საფირმო დასახელებაში და გახდა შპს ეი-ბი-ეფ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

მესაკუთრე:	წილი:
გიორგი დავითაშვილი, 01031005887	8.33375%
ილია დავითაშვილი, 3040399A003PB7, MP3484398 /ბელარუსი/	8.33375%
იოანე დავითაშვილი, 01008052370	8.33375%
ლიზი დავითაშვილი, 01352005961	8.33375%
იოსებ იმნაძე, 01008001903	33.335%
გიორგი შანიძე, 01006002937	33.33%

„კომპანიის“ გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - მიხეილ ბრეგვაძე (პ/ნ 01008007110).

დასკვნის გამოცემამდე კომპანიის მესაკუთრეების სია ასე გამოიყურება:

მესაკუთრე:	წილი:
გიორგი დავითაშვილი, 01031005887	16.6675%
იოანე დავითაშვილი, 01008052370	8.33375%
ლიზი დავითაშვილი, 01352005961	8.33375%
იოსებ იმნაძე, 01008001903	33.335%
გიორგი შანიძე, 01006002937	33.33%

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა დისტრიბირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით, საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2. კომპანიის სამომავლო გეგმები

2021 წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, განვითარების კონკრეტული გეგმები კომპანიას არ აქვს.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

„კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

5. კომპანიის სესხები

	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2021	31.12.2020
სს საქართველოს ბანკი	14.08.2023	13,00%	GEL	904	1,361
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	12,00%	GEL	3,905	4,527
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	498	643
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	5,528	6,661
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	683	832
სს საქართველოს ბანკი	11.09.2025	9,25%	USD	4,042	4,797
სს საქართველოს ბანკი	11.12.2024	9,25%	USD	1,021	1,334
სს საქართველოს ბანკი	07.05.2021	9,25%	USD	-	1,049

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით (დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით), ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 5,402 ათას ლარს (2020 წელს: 4,712 ათასი ლარი).

6. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
7. სხვა დამატებითი ინფორმაცია სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ გთხოვთ იხილოთ შპს "ეი-ბი-ეფ" 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი: მიხეილ ბრეგვაძე

თარიღი: 19-12-2022წ.

